საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #15

07 აგვისტო 15.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ი.ჯიშკარიანი, ჯ.ჯიშკარიანი,
ლ. არველაძე, მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე,
ქ.ჯოხაძე, ფ. ინჯია, ლ.დარახველიძე,

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების წევრები.

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი,

„სითი ინსტიტუტ საქართველოს“ ხელმძღვანელი მერაბ ბოლქვაძე, ინსტიტუტის წარმომადგენლები გოგი აბაშიძე. სოსო სალუქვაძე

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებელ გრანტის ხელშეკრულებაში ცვლილებები (№12-0318214120-03)
2. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (№12-03181862-03)

მოისმინეს:

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაიამ წარმოადგინა პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში განსახორციელებელ ცვლილებაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულების ცვლილების მიზანს წარმოადგენს, ბიზნეს აქსელერატორის განსათავსებლად შერჩეული შენობის ლოკაციის შეცვლა, რაც პოზიტიურად აისახება ხარჯებზე: მედიათეკის შენობები რემონტის თვალსაზრისით სრულად გამართულია, საჭირო იქნება მხოლოდ მინიმალური ხარჯები, გამოყოფილი ფართების აქსელერატორის ოფისებად გადასაკეთებლად, რაც საშუალებას იძლევა პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარების რაოდენობს გაზრდას, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 120 ბენეფიციარის ბიზნეს პროექტის შემუშავების ნავცლად შემუშავდება 152 ბიზნეს გეგმა. გრანტის ხანგრძლივობაა ოთხი წელს, 2018-2021 წლები.

ქ.თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის ეკონომიკური ნაწილი საკრებულოს დეპუტატებს „სითი ინსტიტუტ საქართველოს“ წარმომადგენელმა გოგი აბაშიძემ წარუდგინა. მისი განმარტებით, თბილისის გენგეგმა ერთიან ეკონომიკურ მიდგომებს ითვალისწინებს, რომლებიც კომპანია „სითი ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებზეა დაფუძნებული.

თბილისის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ხედვით თბილისი 2020 წლისთვის უნდა იყოს ქალაქი, რომელიც მომსახურებისა და შესაძლებლობების ფართო არჩევანს სთავაზობს მოქალაქეებს, კომპანიებს, დაწესებულებებსა და ვიზიტორებს, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ, სწავლობენ და ისვენებენ თბილისსა და მის რეგიონში.

ქ.თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფი პრინციპულად მიიჩნევს თბილისის რეგიონული მნიშვნელობის გაზრდას და მისი, როგორც მეტროპოლიტანურ ქალაქად განვითარებას. ამისთვის კი აუცილებელია სივრცეების გამოყოფა შესაბამისი ინსტიტუტებისათვის და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება. ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან, რომლებიც თბილისის სივრცითი განვითარების გეგმის განახლებისათვის, კვლავ ინარჩუნებენ აქტუალობას და მნიშვნელობას. ქალაქის განვითარებისათვის უნდა გამოიყოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

სტრატეგიული მიმართულება „თბილისი – მზარდი რეგიონული კარიბჭე" - თბილისი - მეტროპოლიტანური ქალაქი (ანუ საქალაქო აგლომერაციის ცენტრი), თბილისი - რეგიონული მნიშვნელობის ბიზნესების ადგილი, რეგიონული მნიშვნელობის ლოგისტიკური ცენტრის შექმნა თბილისში, საქალაქო სივრცეების შექმნა/ორგანიზება ბიზესის მხარდასაჭერად, თბილისის საკონფერენციო ცენტრის შექმნა, ტერიტორიის იდენტიფიცირება ბიზნესცენტრისთვის და განვითარება.

სტრატეგიული მიმართულება „თბილისში ბიზნესის დროა:" დამწყები ბიზნესების მხარდასაჭერად ბიზნეს ინკუბატორების შექმნა, მენაშენეებთან/დეველოპერებთან და არაკომერციულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მზარდი კომპანიების საოფისე ფართით უზრუნველყოფა, თბილისის სამრეწველო პარკის დაარსებით მეტი სივრცის შექმნა დინამიურად მზარდი სამრეწველო კომპანიებისათვის, თბილისის ტექნოლოგიური პარკის განვითარება ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, თბილისის დამკვიდრება საერთაშორისო სტანდარტების კვლევისა და განვითარების ინსტიტუტების განთავსებისათვის შესაფერის ქალაქად, სივრცის/ადგილის მოწყობა და შეთავაზება გლობალური კორპორაციებისათვის საქმიანობის განსათავსებლად, ინვესტორებისათვის ოფისების შეთავაზება ადმინისტრაციული სერვისებით.

სტრატეგიული მიმართულება „თბილისი – მიმზიდველი საცხოვრებელი ადგილი": მოსახლეობასთან თანამშრომლობით ტექნიკური ინფრასტრუქტურის, რეკრეაციული ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი შეხვედრების ადგილების შექმნა თბილისის უბნებში, სავაჭრო ცენტრებისა და ქუჩების განვითარება საცხოვრებელ უბნებში, რაც ხელს შეუწყობს თბილისის, როგორც ტურისტული ქალაქის განვითარებას.

ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ხედვა - გაძლიერდეს თბილისის, როგორც რეგიონული მნიშვნელობის ქალაქის პოზიცია, ინარჩუნებს აქტუალურობას. პროექტები მოიცავენ აქტივობებს, რომლებიც თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისათვის მნიშვნელოვან პოზიციებს წარმოადგენენ და მათი

უგულებელყოფა არ შეიძლება. ისინი გათვალისწინებული იქნა მიწათსარგებლობის გენგეგმის განახლებისას.

ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განახლების შემთხვევაში, გასათვალისწინებელია განახლებული სივრცითი გეგმა, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაც, უნდა ითვალისწინებდეს, აგრეთვე, ქვეყანაში განხორციელებული პროექტების შედეგად გაჩენილ ახალ რეალობას და საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებს. მაგალითად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შემდეგ თბილისის მეტროპოლიის (თბილისის აგლომერაციის) საზღვრების გაფართოებას.

გოგი აბაშიძის მიერ ჩატარებული პრეზენტაციის შემდეგ კომისიების გაერთიანებული სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საკრებულოს წევრების და სხდომაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების კითხვებს გოგიაბაშიძემ და კომისიების თავმჯდომარეებმა უპასუხეს.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია